

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

___ აგვისტო, 2021 წელი

ქალაქი ბათუმი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქალაქ ბათუმში, ჭავჭავაძის ქ.№75-ში მდებარე 107,30 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის გასხვისებაზე (პრივატიზებაზე) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54 მუხლის პირველი პუნქტის „დ.ზ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 121-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქალაქ ბათუმში, ჭავჭავაძის ქ.№75-ში მდებარე 107,30 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის (საკადასტრო კოდი: 05.28.01.003.01.502) გასხვისებაზე (პრივატიზებაზე).

2. წინამდებარე განკარგულების პირველ პუნქტში მითითებული უძრავი ქონების გასხვისება (პრივატიზება) მოხდეს შემდეგი პირობით: აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბაგრატიონის მეორე ადმინისტრაციული ერთეულის სერვისცენტრის ახალი შენობის აშენებამდე (2022 წლის 31 დეკემბრამდე) არ მოითხოვოს აუქციონზე შეძენილი ფართის გამონთავისუფლება ბაგრატიონის მეორე ადმინისტრაციული ერთეულის სერვისცენტრისაგან ან/და ბაგრატიონის მეორე ადმინისტრაციული ერთეულის საზღვრებში საკუთარი ხარჯებით მოიძიოს (იქირაოს) ალტერნატიული შენობა/ფართი და მოახდინოს მისი გადაყვანა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასთან შეთანხმებით.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

სულიკო თებიძე

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ბათუმში, ჭავჭავაძის ქ. №75-ში მდებარე 107.30 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის გასხვისებაზე (პრივატიზებაზე) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ხორციელდება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების ახალი სერვისცენტრების მშენებლობა, მათ შორის დაგეგმილია ბაგრატიონის მეორე ადმინისტრაციული ერთეულის ახალი სერვისცენტრის მშენებლობა, ვინაიდან ქ. ბათუმში, ჭავჭავაძის ქ. №75-ში მდებარე მოძველებულ შენობაში არსებული ფართი, რომელშიც განთავსებულია სერვისცენტრი არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს. ამ ეტაპზე ხორციელდება სერვისცენტრის განთავსების (მშენებლობის) ადგილის შერჩევასთან დაკავშირებული ღონისძიებები. ახალი სერვისცენტრის მშენებლობის დასრულებისთანავე მოხდება მასში ბაგრატიონის მეორე ადმინისტრაციული ერთეულის თანამშრომელთა გადაყვანა. შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ განხორციელდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ბათუმში, ჭავჭავაძის ქ. №75-ში მდებარე 107.30 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის (საკადასტრო კოდი: 05.28.01.003.01.502), გასხვისება (პრივატიზება) და მასზე, როგორც ძირითადი ქონების გასხვისებაზე ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს საკრებულოს თანხმობა. ქონების პრივატიზების საკითხთან დაკავშირებით პირობად განსაზღვრული იქნას შემდეგი: აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბაგრატიონის მეორე ადმინისტრაციული ერთეულის სერვისცენტრის ახალი შენობის აშენებამდე (2022 წლის 31 დეკემბრამდე) არ მოითხოვოს აუქციონზე შეძენილი ფართის გამონთავისუფლება ბაგრატიონის მეორე ადმინისტრაციული ერთეულის სერვისცენტრისაგან ან/და ბაგრატიონის მეორე ადმინისტრაციული ერთეულის საზღვრებში საკუთარი ხარჯებით მოიძიოს (იქირაოს) ალტერნატიული შენობა/ფართი და მოახდინოს მისი გადაყვანა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასთან შეთანხმებით.

აღნიშნული უძრავი ქონების პრივატიზებით მოხდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში თანხების მობილიზება, რაც შექმნის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების ახალი სერვისცენტრების მშენებლობის დაჩქარების დამატებით შესაძლებლობებს.

ა.ბ) პროექტის არსი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების ახალი სერვისცენტრების მშენებლობიდან გამომდინარე ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში თანხების მობილიზების მიზნით ქ. ბათუმში, ჭავჭავაძის ქ. №75-ში მდებარე 107.30 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის (საკადასტრო კოდი: 05.28.01.003.01.502) გასხვისება (პრივატიზება) და მასზე, როგორც ძირითადი ქონების გასხვისებაზე ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის სარებულოს თანხმობის მიღება.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

პროექტის განხორციელებით პრივატიზების თანხით გაიზრდება ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილება „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაცია.

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

**ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების
მართვის სამსახურის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი**

დავით კოპინაძე